



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კავსადე ანზორ გრიგოლის (გიგუშას) ძე

კავსადე ანზორ გრიგოლის (გიგუშას) ძე (7. VIII. 1930, ჭიათურა, – 17. XII. 2007, თბილისი), საგუნდო დირიჟორი, მომღერალი, პედაგოგი. საქართვე. სახ. არტისტი (1970). 1956 დაამთავრა თბილ. სახელმწ. კონსერვატორია საგუნდოსადირიჟორო განხრით (- ხელმძღვ. გ. ხახანაშვილი). ასპირანტურაში (საოპერო-სიმფ. დირიჟორობა, ხელმძღვ. ო. დიმიტრიადი) სწავლის პარალელურად ეწეოდა სადირიჟორო მოღვაწეობას. 1951-54 იყო საქართვე. რადიოს კაპელის დირიჟორი და მომღერალი, 1954-58 – თბილ. კონსერვატორიის საოპერო სტუდიის გუნდის დირიჟორი, 1955-2007 – იქვე საგუნდოსადირიჟორო კათედრის პედაგოგი, 1957-66 - საქართვე. ხალხ. სიმღერისა და ცეკვის სახელმწ. დამს. ანსამბლის მთ. დირიჟორი, 1968-75 – ამავე ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელი და მთ. დირიჟორი. ამ პერიოდში ანსამბლმა განსაკუთრებულ მაღალ-მხატვრულ სამემსრულებლო დონეს მიაღწია, წარმატებით გამართა გასტროლები საზღვარგარეთ (მ. შ. აშშ-სა და კანადაში). კ-ის მოღვაწეობის დროს ამ ანსამბლში მღეროდნენ ხალხ. სიმღერის დიდოსტატები: ი. მჭედლიშვილი, ჰ. გონაშვილი, ჯ. ხვადაგიანი, ი. ბაქაიძე, რ. საგინაშვილი და სხვ. სწორედ ი. ბაქაიძისა და რ. საგინაშვილის ნამღერი „ჩაკრულოს“ კავსადისეული ვარიანტი გაუშვეს კოსმოსში 1977.

გ. ტორაძე
